“საერთაშორისო გამჭვირვალობის” (TI) 2004 წლის “გლობალური კორუფციის ბარომეტრის” მიხედვით, საქართველოში შეინიშნება ხელისუფლების ანტიკორუფციული პოლიტიკისადმი საზოგადოების დამოკიდებულების მკვეთრი ცვლილება.

ქართველი ხალხი ოპტიმისტურად არის განწყობილი და სჯერა, რომ უახლოესი სამი წლის განმავლობაში კორუფციის მასშტაბები მნიშვნელოვნად შემცირდება.

2004 წლის 9 დეკემბერი – საერთაშორისო ანტიკორუფციულ დღეს TI-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებით კორუფციისადმი საზოგადოების დამოკიდებულების თვალსაზრისით ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველომ უდიდესი ნახტომი გააკეთა. გამოკითხული 64 ქვეყნიდან საქართველო კორუფციის აღმოფხვრის შესაძლებობისადმი ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილ ქვეყანათა სამეულში მოხვდა მაშინ, როცა 2003 წელს ჩატარებულმა ანალოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ მოქალაქეების უდიდესი ნაწილი მომავალში კორუფციის მასშტაბების ზრდას ელოდა.

TI-ის გლობალური კორუფციის ბარომეტრი და საქართველო

გლობალური კორუფციის ბარომეტრის მიხედვით ქართულმა საზოგადოებამ კვლევაში შეტანილი თერთმეტი სფეროს რანგირება შემდეგი სახით მოახდინა: 1) პოლიცია, 2) საგადასახადო შემოსავლები/საბაჟო სისტემა, 3) სასამართლოები, 4) ჯანდაცვა, 5) პოლიტიკური პარტიები, 6) პარლამენტი, 7) კერძო სექტორი, 8) კომუნალური მომსახურება, 9) სამხედრო სექტორი, 10) მასმედია/არასამთავრობო სექტორი, 11) ეკლესია. აქედან ყველაზე კორუმპირებულად მიჩნეულ იქნა №1 სფერო – პოლიცია, ხოლო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულად - №11 – ეკლესია.

გამოკითხულ ქვეყანათა უმრავლესობამ განსაკუთრებულ პრობლემად მიიჩნია პოლიტიკურ პარტიებში არსებული კორუფცია. საქართველოში შიდაპარტიული კორუფციისადმი ხალხის დამოკიდებულება ნაკლებად ნეგატიურია, თუმცა, ფაქტია, რომ პარტიული სისტემის კორუფციისგან გაწმენდის კუთხით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამის გათვალისწინებით, თI დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში მიმდინარე მსჯელობებს პარტიების ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

ქართველ რესპონდენტთა უმეტესობამ უმთავრეს პრობლემათა შორის დაასახელა ე.წ. მცირე კორუფცია, რაც გულისხმობს მექრთამეობის არსებობას ყოველდღიურ ურთიერთობებში, თუმცა ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე სახის კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობა მხოლოდ 5-10%-მა აღიარა.

როგორც აღინიშნა, ყველაზე კორუმპირებულ სფეროდ საქართველოში დასახელდა პოლიცია, მაგრამ ვინაიდან ბარომეტრის ფარგლებში გამოკითხვა ივნისის თვეში ჩატარდა, ბოლო თვეების განმავლობაში განხორციელებულმა პოლიციის რეფორმამ მასში ასახვა ვერ ჰპოვა. თI საქართველო მიესალმება პოლიციის სისტემაში გატარებულ ცვლილებებს და იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს საზოგადოების მიერ განსაკუთრებით კორუმპირებულად მიჩნეული სფეროების, მათ შორის პოლიციისა და საგადასახადო სისტემის, რეორგანიზებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს ასევე მნიშვნელოვანი სფეროების, ჯანდაცვისა და სასამართლოების რეფორმა.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

რა უნდა გაკეთდეს?

მართალია, ქართული საზოგადოება ოპტიმისტურად არის განწყობილი კორუმპირებულ სისტემებში ცვლილებების განხორციელების მიმართ, მაგრამ მისი დიდი ნაწილი მტკივნეულად აღიქვამს ქვეყანაში არსებულ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სიღარიბე (გამოკითხულთა 99.2%), უმუშევრობა (გამოკითხულთა 96.3%) და ინფლაცია (გამოკითხულთა 96.3%).

"გლობალური კორუფციის ბარომეტრი" არის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც იკვლევს მოქალაქეების დამოკიდებულებას ანტიკორუფციული ღონისძიებების შედეგების მიმართ. იგი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს სხვადასხვა ქვეყნებში ხელისუფლებისადმი არსებული ნდობა და მის საფუძველზე გაკეთდეს ქვეყნების შედარებითი ანალიზი. TI *-ის "კორუფციის აღქმის ინდექსისგან" განსხვავებით, რომელიც 2004 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა, ბარომეტრი აქცენტს აკეთებს არა გამოკითხვის დროს არსებულ ვითარებაზე, არამედ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლო წარმატებისადმი ხალხის დამოკიდებულებაზე.*

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge